

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი გერმანიაში დასახლებულია ნდობის მეცნიერად

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ჯონი აფაქიძე გერმანიის ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტის ფონდის მიერ 2010 წლის 1 იანვრიდან დასახლებულია ნდობის მეცნიერად. ამის შესახებ ჯონი აფაქიძემ ჰუმბოლდტის ფონდისგან ოფიციალური შეტყობინება უკვე მიიღო.

ნდობის მეცნიერად (Vertrauenswissenschaftler / Ambassador Scientists) ირჩევენ ჰუმბოლდტის ფონდის იმ სტიპენდიატს, რომელსაც საერთაშორისო სამეცნიერო ქსელის განვითარებასა და ახლგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს. ჰუმბოლდტის სამეცნიერო ფონდი თავისი გადაწყვეტილებების მიღების დროს ითვალისწინებს ნდობის მეცნიერის საექსპერტო დასკვნებსა და რჩევებს.

2010 წლის დამდეგისათვის ალექსანდრე ფონ ჰუმბოლდტის ფონდის მიერ მსოფლიოს 34 ქვეყნიდან არჩეულია სულ 45 ნდობის მეცნიერი.